KA021742886397419

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

26 / ივნისი / 2019 წ.

N4/38080

შპს "ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრის" (ს/ნ №202462708)
დირექტორ ბატონ გია ცაგარეიშვილს
მის: ქ.თბილისი, ლუბლიანას ქუჩა №2/6
ტელ.: 599 29 08 20

თქვენი 11.06.2019 წლის N858/19 წერილის (სააგენტოს რეგისტრ. N60823/ფ) პასუხად გაცნობებთ, რომ მასზე თანდართული შპს „მოორ სტივენს ეიბისის" (ს/ნ N206331691) 10.06.2019 წლის დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნით დასტურდება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა (შემდგომში: სააგენტო) და შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრს" (ს/ნ N202462708) შორის 2016 წლის 16 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (2019 წლის 13 ივნისის ცვლილების ხელშეკრულება) 4.1.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

ამასთან, ხელშეკრულების 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად სააგენტო განგისაზღვრავთ დამატებით ვადას არაუგვიანეს 2019 წლის 1 ოქტომბრამდე, თუმცა აქვე გაცნობებთ, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრა არ გათავისუფლებთ ხსენებული ვალდებულების შეუსრულებლობის ხელშეკრულების 7.2 მუხლის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისაგან, რომელიც კომპანიას ეკისრება 18.06.2019 წლიდან და ზრდადია ყოველდღიურად 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე.

დამატებით გატყობინებთ პირგასამტეხლოს გადახდის რეკვიზიტებს:

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში (ცენტრალიზებული)

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

სახაზინო კოდი: 302003270

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე

კორესპონდენციის მართვის სამსახური
LEPL "NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY"

შემოს. კორესპონდ. №062/19
28.06.19

KA021722439740819

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/62985

28 / ოქტომბერი / 2019 წ.

შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრს“
მის: ქ.თბილისი, ლუბლიანას ქუჩა N2/6

თქვენი 04.10.2019 წლის N1579/19 წერილის (სააგენტოს რეგისტრ. N103503/ფ) პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი მასსა და შპს „ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრს“ (ს/ნ N202462708) შორის 2016 წლის 16 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (2019 წლის 13 ივნისის ცვლილების ხელშეკრულება) 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად განგისაზღვროთ დამატებით ვადა 2020 წლის 1 აპრილამდე. თუმცა აქვე გაცნობებთ, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრა არ გათავისუფლებთ ხსენებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულების 7.2 მუხლის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისაგან, რომელიც კომპანიას ეკისრება 18.06.2019 წლიდან და ზრდადია ყოველდღიურად 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე.

დამატებით გატყობინებთ პირგასამტეხლოს გადახდის რეკვიზიტებს:

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში (ცენტრალიზებული)

მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

სახაზინო კოდი: 302003270

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე

შპს „ინ ვიტრო“ №113/19
23.10.19

საგადახდო დავალება
Payment Order

1574235981 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 20/11/2019

გადამხდელი / Sender

შპს 'ინ ვიტრო' განაყოფიერების ცენტრი', 202462708

რეფერენსი / Ref. Num.

3012236999

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE38TB7701536020100002

თანხა / Amount

15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს 'ინ ვიტრო' განაყოფიერების ცენტრი', 202462708

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 202462708

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

20/11/2019

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

000696 დადგენილების საფუძველზე შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

დასტამპილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/R2168-19

„19“ 11 2019 წ.

დადგენილება №000696
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

19.11.2019წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ გიორგი გეჯაძემ განვიხილე 2019 წლის 19 ნოემბრის №000696 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. "ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №202462708, დირ. გია ცაგარეიშვილი (პირადი №01008011065), ზაზა ხოფრომაძე (პირადი №60001007771), მის: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №2/6) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (ნებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქ. №21, საკ. კოდი №01.13.01.010.080-ში შ.პ.ს. "ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი"-ს მიერ განხორციელდა საავადმყოფოს მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3605643 AR1529196 13.10.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების და კარების ნახატი. კედლების ნაწილი დაფერილია განსხვავებულ ფერში. „1-16" ფასადი: -0,30 ნიშნულზე „2" ღერძზე გაუქმებულია კედლები. +7,80 ნიშნულზე „6" ღერძის მიმდებარედ დამატებულია კარი. +18,60 ნიშნულზე „8-11" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა და ვიტრაჟის მდებარეობა. „ა-კ" ფასადი: „ა-კ" მონაკვეთში შეცვლილია კოლონების სისქე. „16-1" ფასადი: ნაწილობრივ შემცირებულია ვიტრაჟების და კარებების გაბარიტი, ასევე გაუქმებულია მინის მოაჯირები და მათ ნაცვლად მოწყობილია კედლები. +11,40 ნიშნულზე შეცვლილია ღიობის მდებარეობა. შენობის შიგნით გაზრდილია რიგელების რაოდენობა. გარე კედლების სისქე, კოლონების რაოდენობა და ნაწილობრივ ფორმა არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია კედლების (ასევე გასასვლელი საშუალებების) და ღიობების ნაწილის მდებარეობა, რაოდენობა, გაბარიტი და ფორმა. შეცვლილია ოთახების რაოდენობა. -3,30 ნიშნულზე შეცვლილია დაცვის ჯიხურის გაბარიტი. შეცვლილია კიბის უჯრედის, საფეხურების, ლიფტის და სავენტილაციო შახტების ნაწილის გაბარიტი და რაოდენობა. ±0,00 ნიშნულზე „12-13" და „ე-ზ" მონაკვეთებში შეცვლილია ბაქნის გაბარიტი და კედლების გაბარიტული ზომა. „3-4" და „თ-ე" მონაკვეთებში შეცვლილია დონეთა შორის სხვაობა. -4,20 ნიშნულზე „ე-ზ" მონაკვეთსი „11" ღერძზე ღიობი შევსებულია ფილით. -18,60 ნიშნულზე გადახურვაზე დამატებულია მცირე ზომის საჰაერო მილები.

ქ. თბილისი 0160, შ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2019 წლის 19 ნოემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" და "თ" პუნქტების საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000696 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ."

საქმეშია, მხარის №10/0119318808-17 14.11.2019წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა. მუნიციპალური ინსპექციის №17-011916229666 11.06.2019წ. წერილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქ. №21, საკ. კოდი №01.13.01.010.080-ზი შ.პ.ს. "ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი"-ს მიერ განხორციელდა საავადმყოფოს მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3605643 AR1529196 13.10.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით.

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი"-ს დაეკისროს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი"-ს დაეკისროს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით გახანგრძლივებული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გ. ბმჯაძე